**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# მადათაფა

ტბა მადათაფა

მადათაფა, ტბა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ვულკ. მთიანეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ზ. დ. 2108 მ. ზედაპირის ფართობია 8,78 კმ $^2$, აუზის ფართ. – 136 კმ $^2$, უდიდესი სიღრმე – 1,7 მ, წყლის მოცულობა – 9,7 მლნ მ $^3$. ქვაბული წარმოიქმნა ლავის ნაკადით ხეობის გადაკეტვის შედეგად. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყლის დონე გაზაფხულზე მაღალია, ზამთარში – დაბალი. ტბიდან გაედინება მდ. მადათაფა. აქვს მიწისქვეშა განადენიც, რის გამოც წყლის დონე მკვეთრად ცვალებადობს. წყლის ტემპ. ზაფხულში 17–18 $^0$ C, ზამთრობით თითქმის ფსკერამდე იყინება. წყალი სუსტად მინერალიზებულია. ტბაში თევზი არ არის, ზაფხულობით მრავლადაა წყლის ფრინველი.

***ი. აფხაზავა***